

თარგმანი
TRANSLATION

კოიძუმი იაკუმო (1850-1904) – „ამბავი ოდაის¹⁴ შესახებ“

მარიამ ჩალაბაშვილი
ისტორიის მაგისტრი,
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო
უნივერსიტეტის შორეული აღმოსავლეთის
ახალი და უახლესი ისტორიის დეპარტამენტი,
იაპონისტიკის მიმართულება. საქართველო,
ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №1, 0179,
+95571103101, Chalabashvili.mariam@gmail.com
ORCID identifier: 0000-0002-8411-8676

აბსტრაქტი.

იაპონურ ფოლკლორში იოკაის (არამიწიერი არსებები, სულები, მონსტრები და ა.შ.) მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. კოიძუმი იაკუმომ¹⁵ კი წერილობითი სახე მისცა სხვადასხვა მითსა თუ ლეგენდას. „თოვლის ქალბატონი“, „ოშიდორი“, „დამარხული საიდუმლო“ უკვე ნათარგმნია ქართულად, ახლა კი „ამბავი ოდაის შესახებ“ გაეცნობა მკითხველი.

საკვანძო სიტყვები: ნაგაო; ოდაი.

იაპონურიდან თარგმნა მარიამ ჩალაბაშვილმა

¹⁴ ოტეი

¹⁵ კოიძუმი იაკუმო - Patrick Lafcadio Hearn (1850-1904), ეროვნებით იაპონელი არ იყო, მაგრამ ბრწყინვალედ დაეუფლა იაპონურ ენას. ის 1890 წელს ჩავიდა იაპონიაში, სადაც ცოლად შეირთო კოიძუმი სეცუ (სამურაის ოჯახიდან), გახდა იაპონიის მოქალაქე და სიცოცხლის ბოლომდე იქ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

„ამბავი ოდაის შესახებ“

ძველად, ეჩიგოს პროვინციის ქალაქ ნიიგატაში, ცხოვრობდა ნაგაო ჩოსეი. რადგანაც მისი მამა ექიმი იყო, ამიტომ ნაგაოც მამის პროფესიას დაეუფლა. როდესაც პატარა იყო, მამის მეგობრის შვილ ოსადაზე დანიშნეს. ორივე ოჯახი შეთანხმდა, რომ როგორც კი ნაგაო წვრთნას მორჩებოდა, ქორწილიც გაიმართებოდა. თუმცა, საქმრომ ოსადას სუსტი ჯანრთელობის შესახებ შეიტყო, რომელსაც თხუთმეტი წლის ასაკში ფილტვის უკუზრუნებელი სენი დაუდგინდა. როდესაც ოსადამ გაიგო, რომ მალე გარდაივლებოდა, ნაგაო თავისთან იხმო და უთხრა:

„ჩვენ ბავშვობიდან ერთად ვართ და ამ წლის ბოლოს ოჯახი უნდა შეგვექმნა, მაგრამ მე ვკვდები, თუმცა ესეც ღმერთების¹⁶ ნებაა. ცოტაც რომ კიდე ვიცოცხლო, ხათაბალის მეტი არაფერი ვიქნები და ჩემი დაუძღურებული სხეულის გამო ვერც შესაბამის ცოლობას გაგიწევ. იმისი სურვილიც კი, რომ შენთვის ვიცხოვრო, ეგოიზმი იქნება ჩემი მხრიდან, ამიტომ სრულიად ვნებდები. შენც დამპირდი, რომ არ იდარდებ. ვფიქრობ, რომ კვლავ შევძლებთ შეხვედრას, ამის თქმა მსურდა შენთვის“.

დამწუხრებულმა ნაგაომ კი უპასუხა: „ნამდვილად შევხვდებით და იმ წმინდა ადგილზე¹⁷ განშორების სიმწარეს ველარვიგებთ“.

მაგრამ ქალმა წარმოთქვა: „არა, არა, წმინდა ადგილს არ ვგულისხმობ. ხვალ დამმარხავენ, მაგრამ მჯერა, რომ კვლავ შევხვდებით აქ, ამ სამყაროში“.

ნაგაომ გაკვირვებულმა შეხედა მომღიმარ ოსადას. ქალმა მშვიდი, ოცნებანარევი ხმით გააგრძელა:

„ჰო, ასეა, კვლავ ამ სამყაროში, შენს ახლანდელ სამყაროში. ნაგაო-სამა, ... იმისათვის, რომ ეს ასე მოხდეს, გოგონად უნდა დავიბადო და გავიზარდო, მანამდე კი დამელოდე. თხუთმეტი

¹⁶ შინტოისტური და ბუდისტური ღმერთები

¹⁷ როგორც ქრისტიანებისთვის სამოთხე

წელი, თექვსმეტი წელი... ეს უკვე დიდი დროა. ჩემო საქმრო, შენ უკვე ცხრამეტის სრულდები“.

სიკვდილის პირას მყოფი ქალის დასამშვიდებლად, ნაგაომ დაყვავებით უპასუხა:

„ჩემო საცოლევ, შენი ლოდინი ჩემი მოვალეობა და სიამოვნებაა, ჯერ კიდევ შვიდი წლის ვიყავით, რომ ერთამენთს პირობა მივეცით“.

„მაგრამ, ხომ არ დაეჭვდი?“ - ოსადა საქმროს მიაჩერდა.

მან კი მიუგო: „იმაზე დავფიქრდი, თუ როგორ უნდა გიცნო სხვა სახელით, სხვა სხეულში, რაიმე მტკიცებულების გარეშე“.

„მაგას ვერ გეტყვი, რა როგორ მოხდება, ეს მხოლოდ ღმერთებმა იციან, მაგრამ თუ ჩემი დაბრუნება გასურს, მე შემძლია დავბრუნდე, ეს გახსოვდეს“. - ქალმა თქვა, თვალები მილულა და სული განუტევა.

ნაგაოს გული კვლავ ოსადასთვის ძგერდა და მისი მწუხარება დღითიდღე ღრმავდებოდა. მან ოსადას სახელით ამოტვიფრული იჰაი¹⁸ დაამზადებინა, ბუდისტურ საკურთხეველში დააბრძანა და ყოველ დღე მის წინ შესაწირს დებდა. გარდაცვალების წინ ქალის წარმოთქმულ უცნაურ სიტყვებზეც ბევრს ფიქრობდა. იმისათვის, რომ მისი სული მშვიდად ყოფილიყო და იმ შემთხვევაში თუ ახალი სხეულით დაბრუნდებოდა, დაწერა პირობა, რომ მას ცოლად შეირთავდა, ბეჭდით დაამოწმა და ბუდისტურ საკურთხეველში ოსადას იჰაის წინ დატოვა.

რადგანაც ნაგაო ერთადერთი ვაჟიშვილი იყო ოჯახისთვის, მისი დაოჯახება აუცილებლობას წარმოადგენდა და მამის მიერ შერჩეულ ქალზე იძულებით დაქორწინდა. მიუხედავად დაოჯახებისა, ის კვლავ ტოვებდა შესაწირს ოსადას იჰაის წინ და გულმხურვალედ იხსენებდა. თუმცა, წლებთან ერთად მის მოგონებე-

¹⁸ მიცვალებულისთვის დამზადებული ბუდისტური სარიტუალო დაფა, სადაც მიცვალებულის სახელი იწერება

ბში ქალის სახე ფერმკრთალდებოდა, ბოლოს კი მისი სახე დავიწყებას მიეცა.

ამ წლების მანძილზე, კაცს ბევრი უბედურება დაატყდა თავს. მშობლები გარდაეცვალა, შემდეგ მეუღლე და ერთადერთი შვილიც დაკარგა. ამ სამყაროში ეულად დარჩა. მიატოვა სახლი და დარდის გასაქარვებლად ხანგრძლივ მოგზაურობაში გაემურა.

ერთ დღესაც იკაპოს მიადგა, მთიან სოფელს, რომელიც ცნობილი იყო ცხელი აბანოებითა და ლამაზი ხედებით. იმ ადგილას, სადაც ნაგაო დაბინავდა, ახალგაზრდა ქალი მივიდა მოსამსახურებლად. როგორც კი კაცმა დაინახა, გულმა რეჩხი უყო, თვალებს არ უჯერებდა, როგორი უცნაურიც არ უნდა ყოფილიყო, ქალი ოსადას ჰგავდა. რომ გაერკვია სიზმარი იყო თუ ცხადი, საკუთარ თავის შეთვალიერება დაიწყო. როცა ქალი ცეცხლის დასანთებად და დასალაგებლად შემოდის და გადიოდა კარგად აკვირდებოდა, მისმა დგომის მანერამ ახალგაზრდობაში საცოლის შესახებ მოგონებები ამოუტივტივა. გადაწყვიტა მასთან გამოლაპარაკება, ქალმა ნაზი და სუფთა ხმით უპასუხა. ქალის ხმის სილამაზემ ნაგაოს კვლავ სევდანარევი მოგონებები აღუძრა და დაეჭვებულმა ჰკითხა:

„თქვენ ისე ჰგავხართ ქალს, რომელსაც უწინ ვიცნობდი, რომ როდესაც ოთახში პირველად შემოხვედით, გავვოცდი. უტაქტობაში არ ჩამომართვათ, მაგრამ ხომ ვერ მეტყვით თქვენს დაბადების ადგილსა და სახელს?“

ქალმა მალევე, გარდაცვლილის დაუვიწყარი ხმით წარმოთქვა:

„მე ოსადა მქვია, თქვენ ჩემი საქმრო ხართ, ეჩიგოდან ნაგაო ჩოსეი ბრძანდებით. ჩვიდმეტი წლის წინ ნიიგატაში გარდავიცვალე. თუ კვლავ ქალის სხეულით დავიბადებოდი, როგორც თქვენ დაწერეთ, ჩემზე დაქორწინდებოდით, შემდეგ ბეჭედი დაარტყით და წერილი დალუქეთ, რომელიც ბუდისტურ საკუთხეველში ჩემი იჰაის წინ დატოვეთ, სწორედ ამიტომ დავბრუნდი“.

ბოლო სიტყვები წარმოთქვა და გონება დაკარგა. როცა გონს მოვიდა, არაფერი ახსოვდა საუბრის შესახებ. ნაგაო და ოსადა მალევე შეუღლდნენ. მათ ბედნიერებით სავსე ქორწინება ჰქონდათ.

იკაპოში მომხდარი დიალოგის შესახებ ოსადას აღარაფერი გახსენებია. წინა ცხოვრების შესახებ მოგონებებიც უცნაურად გაიფანტა და სიბნელეში ჩაიკარგა, თითქოს არც ყოფილაო. ახალი ცხოვრება კი თავისი დინებით წარიმართა.

წყარო:

1. https://www.aozora.gr.jp/cards/000258/files/59735_76770.html

Koizumi Yakumo (1850-1904) - “The Story of O-Dai”¹⁹

Mariam Chalabashvili

Master of Arts in History,
major in History of Far East,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Department of Far East
Modern and Contemporary History, Japanology.
1 Ilia Tchavtchavadze Avenue, 0179 Tbilisi, Georgia,
+95571103101, Chalabashvili.mariam@gmail.com
ORCID identifier: 0000-0002-8411-8676

Abstract.

Yōkai (class of supernatural monsters, spirits or demons) plays an important role in Japanese folklore. Many of them are written by Koizumi Yakumo. Some of them are already translated into Georgian, such as “Yuki Onna”, “Oshidori”, “Buried Secret”.

Keywords: Nagao; Oday.

Translated from Japanese by Mariam Chalabashvili

¹⁹ O-Tei